



ფარმაციის მენეჯმენტი

პროგრამის სახელწოდება	ფარმაციის მენეჯმენტი
პროგრამის ხელმძღვანელი	ემერიტუსი-პროფესორი ვაჟა ერიაშვილი ასისტენტ-პროფესორი ნანა დულაშვილი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ფარმაკოეკონომიკის, წამლის რეკლამის, რაციონალური ფარმაკოთერაპიის, კლინიკური ფარმაციისა და ფარმაცევტული ზრუნვის შესახებ, რითაც ხელს შეუწყობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი, შეძლებს დამოუკიდებლად განახორციელოს მაღალი დონის მენეჯერული საქმიანობები: ფარმაცევტული პროდუქციის მომარაგების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესების მართვა, მაღალკვალიფიციური კონსულტაცია რაციონალური ფარმაკოთერაპიის შესახებ, მატერიალური, სასაქონლო-ფინანსური რესურსებისა და ფარმაცევტული დაწესებულებების მართვა, კონკურენტუნარიანი მარკეტინგული საქმიანობის განხორციელება ფარმაცევტული საქმიანობის ისეთ სეგმენტებში, როგორცაა: ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება, დისტრიბუცია, აფთიაქი, იმპორტი, ხარისხის კონტროლი, ლოჯისტიკა, მარკეტინგი, ფარმაკოზედამხედველობის ადმინისტრირება, სადაზღვევო კომპანიებში ფარმაკოეკონომიკური მიმართულებით საქმიანობა. შეძლებს ფარმაციის მენეჯმენტში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის ახალი იდეების გენერირებას და გზების ძიებას; დამოუკიდებლად, თანამედროვე მეთოდებითა და უახლესი მიდგომების გამოყენებით, ფარმაციის სისტემაზე/ორგანიზაციაზე მოქმედი გარე და შიდა გამოწვევების კვლევას, ადმინისტრირებასა</p>

	<p>და მიღებული შედეგების კრიტიკულ ანალიზს, დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას, კომუნიკაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, ლიბერალური ღირებულების შეფასებას, მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღებას. მას საშუალება ექნება გააგრძელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სწავლა განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში.</p>
--	---

<p>სწავლის შედეგი</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსის გავლის შემდეგ ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ღრმა და სისტემური ცოდნა ფარმაცევტული ეთიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების შესახებ; • ღრმა ცოდნა ფარმაცევტული პოლიტიკის, ჯანდაცვის სისტემის მართვის, კლინიკური კვლევების ადმინისტრირების, კლინიკური კვლევის ეთიკური პრინციპების დაცვის, ფარმაკოეკონომიკური კვლევის მეთოდების შესახებ. • ღრმა და სისტემური ცოდნა FIP-ის რეკომენდაციების სათანადო (კარგი) ფარმაცევტული პრაქტიკების: GPP, GDP, GSP, GLP, GMP, GKP, GPVP-ის შესახებ; CAPA (ხარისხის პროცესების პრევენცია და კორექცია) სისტემის საშუალებით წარმოების, დისტრიბუციისა და ლოჯისტიკის ეტაპებზე სამკურნალო საშუალებების უსააფრთხოობის, ეფექტურობისა და ხარისხის გადაჭრის გზების შესახებ. დარგის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაწყვეტის მიმართულებების სიღმისეულად გაცნობიერების უნარი; • ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის მეთოდების, მართვის სისტემების, მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ; წამლის რეკლამის შესახებ; ეკონომიკური თეორიის საფუძვლების შესახებ; ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაციის შესახებ; ფასწარმოქმნის სპეციფიკური სტრატეგიების, ფარმაცევტული და სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ; კლინიკური ფარმაციის შესახებ; რაციონალური ფარმაკოთერაპიის და ფარმაცევტული ზრუნვის შესახებ; ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ; • სიღმისეულად გაცნობიერებული ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საქმიანობის ეფექტური მართვა, მენეჯმენტის უნივერსალური ფუნქციების, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და განხორციელების პროცესი. • შეეძლება ახალი იდეების სიღმისეულად გაცნობიერება, ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათება და სტატისტიკური დამუშავება.
-----------------------	--

<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • დისკუსია/დებატები • ჯგუფური მუშაობა • გონებრივი იერიში • დემონსტრირების მეთოდი • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება • ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერითი მუშაობის მეთოდი • პრაქტიკული მეთოდები
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის/მაგისტრანტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებას (სტუდენტის შესასრულებელი ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის შესაბამისად);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა.</p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 %;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>თანაფარდობა შეფასების სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით. საბოლოო შეფასებაში (შუალედური და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%.</p> <p>მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება, აგრეთვე, პრაქტიკის, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც.</p>

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.

სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:

91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი,

81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი,

71-80 ქულა – კარგი ნაშრომი,

61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი,

51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი,

0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა და სხვ.) გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს 1 თვის განმავლობაში, ან სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.

საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.

სამაგისტრო ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს არა უმეტეს ორჯერ, სასწავლო კომპონენტის შენახვით.